ოქმი:**ო02.37211031**
თარიღი:**13/04/2021**

ოქმიN3--5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის,აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2021 წელი, 12 აპრილი
ქ. ოზურგეთი
12.00 -14.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები ლ.მგელაძე, ტ.აროშიძე, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.კილაძე, დ.მდინარაძე, ვლ.ჩავლეშვილი, გ.ჩაგანავა, დ.ჭაკნელიძე, გ.თოიძე, ბ.დოლიძე, მ.ჩხიკვიშვილი, ვ.ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ საკრებულოს კომისიაში შემოსულია 4-განცხადება, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს: 1) სოფელ ნატანების მე-17 ბრიგადიდან კოლექტიური, სადაც მოქალაქეები ითხოვენ ქვის საამქროს ნარჩენებით გაჭედილი სანიაღვრე არხების გაწმენდას და დაჭაობებული ტერიტორიის დაშრობას; 2) სოფელ ნატანებიდან პენსიონერ მ.გოგოტიშვილის-ითხოვს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციას; 3) სოფელ ნატანებიდან პენსიონერ ც.ტუღუშის-ითხოვს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციას; 4) ქ.ოზურგეთის გოგი დოლიძის ქუჩის მცხოვრებლების-ითხოვენ ქუჩის ნუმერაციას და ფირნიშების დამზადებას- კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამ განცხადებებზე და გადაწყვიტეს რეაგირებისათვის გადაუგზავნონ მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიათა წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“, ისაუბრა ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, აღნიშნა, რომ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსით, თუმცა შემოსულია ვადების დარღვევით, მუნიციპალიტეტში განხორციელებულია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, ინფრასტრუქტურის განვითარების პროცენტულმა წილმა შეადგინა 47%, რაც ქვეყანაში საუკეთესოა. ამასთან ლაპარაკი არაა სივრცით-ტერიტორიულ მოწყობაზე, გარე ვაჭრობისა და პარკირების პრობლემების გადაწყვეტაზე, არის სხვა შენიშვნებიც-წინა წლების აღებული ვალდებულებებისა და სასამართლო მომსახურების მუხლში არაა გაშიფრული 115 ათასი ლარი, რომელიც სავარაუდოდ გაიცა სასამართლო გადაწყვეტილებით კომპენსაციებზე. ვიდეოკამერების შეძენის მუხლში არ სჩანს რა განხორციელდა, არაა გაშიფრული მძიმეწონიანი სასწორების შეძენის მდგომარეობა, სამოქალაქო ბიუჯეტირებით განსაზღვრული 10 პროექტიდან არც ერთი არ განხორციელებულა-მიზეზი არაა გაშიფრული და სხვა, ყველა ეს და მსგავსი ნაკლოვანებები აღმოფხვრილ უნდა იქნას, საკრებულოში წარმოდგენილი იქნას და საჯაროდ გამოქვეყნდეს სრულყოფილი დოკუმენტი. კომისიათა წევრებმა იმსჯელეს და საბოლოოდ მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცებისათვის იმ გარანტიით, რომ გათვალისწინებული იქნება გამოთქმული შენიშვნები.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული ერთობლივი დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით

2. კომისიაში შემოსული განცხადებები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი